ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"11" აპრილი 2018 წელი

N 39/36 ეგზ:1

"ვამტკიცებ"

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კეკელიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაცია

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის

სარჩევი

ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ.....3

1.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....4

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ 4

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი 4

1.2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....4

1.2.2 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება.....5

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....6

2.1 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება 6

2.2 სახელმწიფო შესყიდვები 6

2.3 პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 7

2.4 შრომის ანაზღაურება 8

2.4.1 დანამატი.....8

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....9

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა.....9

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).....11

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....12

ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება 13

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 15

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება.....16

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებითი შენიშვნები 17

ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდგომში პრეზიდენტის ადმინისტრაცია) არის საქართველოს პრეზიდენტისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშემწყობი და მაორგანიზებელი კონსტიტუციური ორგანო. პრეზიდენტის ადმინისტრაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

- საქართველოს პრეზიდენტის ურთიერთობის კოორდინაციას საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და სხვა ინსტიტუტებთან;
- საქართველოს პრეზიდენტის ინფორმირებას ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ;
- საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზას ან/და მომზადებას;
- საქართველოს პრეზიდენტისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული საკადრო გადაწყვეტილებების მიღებაში ხელშეწყობას;
- საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობას;
- საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავებას და სხვა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო მის მიმდინარე საქმიანობას უძღვება პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ასიგნებები და შესრულების შესახებ ინფორმაცია:

დასახელება	**დამტკიცებული (ლარი)**	**დაზუსტებული (ლარი)**	**საკასო (ლარი)**	**შესრულება %**
ხარჯები	9,732,000	13,374,197	13,087,696	98%
შრომის ანაზღაურება	4,692,000	4,692,000	4,622,445	99%
საქონელი და მომსახურება	4,905,000	5,420,974	5,255,280	97%
სოც. უზრუნველყოფა	80,000	80,000	64,167	80%
სხვა ხარჯები	55,000	3,181,223[1]	3,145,804	99%
არაფ. აქტივების ზრდა	68,000	113,400	104,912	93%
ვალდებულებების კლება		1,978	1,978	100%
სულ	**9,800,000**	**13,489,575**	**13,194,586**	**98%**

[1] სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის წარმოადგენს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებს, რომლის ძირითადი ნაწილიც მიიმართა სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად(იხ. გვერდი N7).

1.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს[2] მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხება 2007-2010 წლებში წარმოშობილი 3,775,406 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით, წარმოადგენს მივლინების ხარჯებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისი დოკუმენტაციის არარსებობის გამო, გაურკვეველია ანგარიშვალდებული პირები. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული 3,775,406 ლარის ოდენობის ,,სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება 2004 წელს შექმნილი საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განვითარებისა და რეფორმების ფონდის მიმართ არსებული 1,995,448 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება. ფონდის მიზანს წარმოადგენდა ინსტიტუციონალური და საჯარო რეფორმების განხორციელება, საჯარო მოსამსახურეთა გადამზადება (კვალიფიკაციის ამაღლება) და სხვა, რომლის ლიკვიდაცია განხორციელდა 2010 წელს. აუდიტის პროცესში პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს ეროვნული არქივიდან მოძიებულ იქნა ფონდის სალიკვიდაციო დოკუმენტები. სალიკვიდაციო კომისიის მიერ შედგენილი დოკუმენტაციით (ლიკვიდაციის აქტი/ბალანსი), პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ დავალიანება არ ირიცხებოდა. ლიკვიდირებული ორგანიზაციიდან დებიტორული დავალიანების დაფარვის ალბათობა ძალიან მცირეა. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ,,სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ნაშთი 1,995,448 ლარით

[2] „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-მდე.

ზედმეტად არის წარმოდგენილი, რაც შეუსაბამოა ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან[3].

1.2.2 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 2008 - 2010 წლებში წარმოშობილი 637,327 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანება, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით წარმოადგენს მივლინებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. დოკუმენტაციის არარსებობის გამო, გაურკვეველია ანგარიშვალდებული პირები და კრედიტორული დავალიანების სისრულე და სიზუსტე. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული ,,სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ 637,327 ლარის ოდენობის ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

3 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, მუხლი 43, პუნქტი 31

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილი ბიუჯეტი ზუსტად უნდა პასუხობდეს ორგანიზაციის ძირითად მიზნებს და ამოცანებს. საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და მიზნობრივი ხარჯვის ხელშეწყობის მიზნით, ბიუჯეტის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი დასაბუთებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ, საბიუჯეტო განაცხადის თანახმად, ,,კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების“ კლასიფიკაციით დაგეგმილმა თანხამ შეადგინა 310,000 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 1,380,650 ლარი, დაგეგმილი თანხის ზრდა შეადგენს 2017 წლის დამტკიცებული მთლიანი ბიუჯეტის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯის 11.2 %-ს. ცვლილება ძირითადად გამოწვეულია წლის განმავლობაში ,,საქონელი და მომსახურების“ მუხლში წარმოქმნილი აუთვისებელი თანხებით. 2017 წლის განმავლობაში, აღნიშნული მუხლიდან წინასწარი ანგარიშსწორებით 556,778 ლარი გახარჯულია 2018 წლის 4-5 იანვრის საახალწლო ღონისძიებისთვის (ღონისძიების საერთო ღირებულების - 763,314 ლარის 72.9%).

წლის ბოლოს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტის გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილება მიუთითებს დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზზე.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს ასახული გასაწევი მომსახურების მახასიათებლები, რათა შემსყიდველს მიღება-ჩაბარების ეტაპზე მიეცეს შესაძლებლობა შეაფასოს შესყიდული ობიექტი შეესაბამება თუ არა იმ მოთხოვნებს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

საახალწლო ღონისძიების მომსახურების შესყიდვის მიზნით, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და შპს ,,ვანილა ივენთს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 499,777 ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ღონისძიების დაგეგმვა/ორგანიზებას, აქტივობებს, პირო ტექნიკას, ეზოს მოწყობას, დეკორაციებს და ა.შ. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიღება-ჩაბარების აქტი პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულების შესრულების კონტროლის საფუძველზე.

გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან სპეციფიკაციებს (შესყიდული მომსახურებისთვის გამოყენებული დეკორაციების ხარისხი, რაოდენობა, ზომები, ესკიზები და სხვა მახასიათებლები), რომლითაც უნდა განსაზღვრულიყო ის მინიმალური მოთხოვნები, რაც უნდა დაეკმაყოფილებინა მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებას. მაგალითისთვის, ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული იყო მხოლოდ:

- დეკორატიული სასახლე (42,350 ლარი);
- ლოლი პოპის დეკორაცია (22,500 ლარი);
- საშობაო სახლები (16,250 ლარი);
- ნაძვის ხეები (12,600 ლარი);

თუმცა, ადმინისტრაციის მიერ დამატებით წარმოდგენილი პირველადი შესყიდვის დოკუმენტაციით (შპს ,,ვანილა ივენთის“ მიერ განხორციელებული შესყიდვების დოკუმენტაცია) გაირკვა გამოყენებული დეკორაციების ხარისხი, რაოდენობა, ზომები, ესკიზები და სხვა მახასიათებლები.

დაგეგმილი აუდიტორული პროცედურით, აუდიტის ჯგუფი შეეცადა გაერკვია აღნიშნული შესყიდვისას რამდენად იყო დაცული ეკონომიურობის პრინციპი. შევისწავლეთ იყო თუ არა მოკვლეული სხვა ალტერნატიული ვარიანტი. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მივიღეთ ადმინისტრაციის განმარტება, რომლის მიხედვით, წინასაახალწლო პერიოდში დაგეგმილი სხვა ღონისძიებების, ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩასატარებელი საახალწლო ღონისძიების მასშტაბურობიდან და შემჭიდროვებული ვადებიდან გამომდინარე:

- რამდენიმე კომპანიამ უარი განაცხადა მომსახურების გაწევაზე და შესაბამისად არც ღონისძიების კონცეფციები წარმოუდგენიათ;
- ღონისძიების კონცეფცია წარმოადგინა მხოლოდ შპს „ვანილა ივენთ"-მა, რომელიც სრულად პასუხობდა ადმინისტრაციის მოლოდინს;
- შპს „ვანილა ივენთის" კონცეფციით სხვა კომპანიისათვის სამუშაოს დაკვეთა გამოიწვევდა ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას.

ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ჩასატარებელი ღონისძიების ალტერნატიული კონცეფციის მიღება და ასევე, შპს „ვანილა ივენთის" მიერ წარმოდგენილ ღონისძიების კონცეფციით მომსახურების გაწევის ალტერნატიული ღირებულების განსაზღვრა.

2.3 პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2017 წლის განმავლობაში პრეზიდენტის განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილი სახსრების შესახებ ინფორმაცია:

დასახელება	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	წილი
ადმინისტრაციის საჭიროებისათვის	523,251	523,251	10.7 %
პროექტების დაფინანსებისთვის	3,166,323	3,139,801	64.1 %
საბიუჯეტო ორგანიზაციების პროექტების დაფინანსებისთვის	1,261,482	1,234,271	25.2 %
სულ	**4,951,056**	**4,897,323**	**100 %**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული პროექტები პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით:

პრიორიტეტული მიმართულება	პროექტების ოდენობა	თანხა	წილი
დემოკრატიული ინსტიტუციებისა განმტკიცება	7	196 580	**4.5 %**
საქართველოს კონსტიტუციის პოპულარიზაცია	13	333 257	**7.6 %**
რეგიონებში განათლების ხელშეწყობა	41	1 172 530	**26.7 %**
ინოვაციური და სამეწარმეო შესაძლებლობები	13	557 329	**12.6 %**
სამოქალაქო ინტეგრაცია და ჩართულობა	33	762 365	**17.3 %**
ბავშვთა და ადამიანის უფლებების დაცვა	11	345 869	**7.8 %**
ქვეყნის უშიშროების დაცვის გაძლიერება	5	226 701	**5.1 %**
კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა	19	813 128	**18.4 %**
სულ	**142**	**4 407 759**	**100 %**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, რომლის მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჭიროებისათვის ისეთი ხარჯები, რომლებიც ვერ ჩაითვლება

გაუთვალისწინებლად და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მათი ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება[4]:

გამოყოფილი თანხა	დანიშნულება
27,912	ადმინისტრაციისათვის ინფორმაციის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად, მედიამონიტორინგის (IPM), საინფორმაციო სააგენტოების ,,ინტერპრესნიუსისა“ (IPN) და ,,ნიუპოსტის“ მომსახურების შესაძენად.
27,219	პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის სახელით გადასაცემი საახალწლო/საშობაო მისალოცი ბარათების (კონვერტითურთ) შესყიდვის მიზნით.
7,490	აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მოხუცთა სხვადასხვა ტიპის სახლების ბენეფიციართათვის სასაჩუქრე კალათების შეძენის მიზნით.
13,500	პრეზიდენტის სასახლეში დაგეგმილი ფორუმის - ,,ბავშვთა კეთილდღეობის გამოწვევები საქართველოში“ - გამართვის უზრუნველსაყოფად.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 76,121 ლარის ოდენობის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯების დაფინანსება არ შეესაბამება საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს[5].

2.4 შრომის ანაზღაურება

ქვემოთ მოცმულ ცხრილში წარმოდგენილია 2017 წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ ინფორმაცია:

დასახელება	დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა	ფაქტობრივად დასაქმებულთა რიცხოვნობა	საკასო ხარჯი	წილი
თანამშრომელთა რაოდენობა	140	120	-	-
თანამდებობრივი სარგო			2,649,852	57 %
დანამატი			1,067,922	23 %
პრემია			904,671	20 %
სულ			**4,622,445**	**100 %**

2.4.1 დანამატი

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად[6], სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოხელეს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში, დადგენილი წესით, საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესოს სხვა დანამატები. დანამატის გაცემისას, უნდა დასაბუთდეს თითოეული მოხელის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ან განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ განხორციელებულა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებით[7] დამტკიცებული წესის შესაბამისად, ,,დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის

4 პრეზიდენტის განკარგულებები: N03/01/04; N25/12/03; N13/04/03; 11/01/01.
5 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 28
6 მუხლი 37, პუნქტი 2
7 2016 წლის 29 დეკემბრის N29/12-4/05/2 ბრძანება ,,საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთათვის დანამატის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“

ადმინისტრაციაში კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით“, პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის წინასწარ, დანიშნულია ყოველთვიური დანამატები (სულ 2017 წელს გაცემულია 1,067,922 ლარის დანამატი), რაც თავის შინაარსიდან გამომდინარე, ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ხასიათს უფრო ატარებდა ვიდრე დანამატის.

შედეგად, 2017 წელს დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებებში არ იყო სათანადოდ დასაბუთებული დანამატის გაცემის მიზანშეწონილობა.

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით; აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა: სახელი, გვარი	**ხელმოწერა**	**თარიღი**
მანანა ღვინაძე (უფროსი აუდიტორი)		11.07.2018
ნინო ამირანაშვილი (უფროსი აუდიტორი)		11.07.2018
ნანა ვაჩაძე (უფროსი აუდიტორი)		11.07.2018

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

დასახელება (ლარი)	**31.12.2017**	**31.12.2016**
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	530	5,820
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	7,195	7,195
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6,409,611	6,060,001
სხვა მატერიალური მარაგები	1,294,104	1,309,592
სულ მოკლევადიანი აქტივები	**7,711,440**	**7,382,608**
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	60,008	60,198
ძირითადი აქტივები	6,065,732	6,126,764
ფასეულობები	5,845	5,845
არაწარმოებული აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**6,131,585**	**6,192,807**
ბალანსი	**13,843,025**	**13,575,415**
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	639,073	639,284
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	**639,073**	**639,284**
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	**639,073**	**639,284**
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	13,203,952	12,936,131
გაუნაწილებელი მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	**13,203,952**	**12,936,131**
ბალანსი	**13,843,025**	**13,575,415**

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება (ლარი)	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	2016 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	**13,194,586**	**-**	**13,194,586**	**13,983,365**
შემოსავლები	**694,240**	**-**	**694,240**	**72,141**
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	689,408		689,408	67,824
სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	**4,832**	**-**	**4,832**	**4,317**
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	-	-	53
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	-	142	-
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	4,690	-	4,690	4,265
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	-
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	-	-	-
სულ	**13,888,826**		**13,888,826**	**14,055,506**
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	4,622,445		4,622,445	4,298,021
საქონელი და მომსახურება	5,125,509		5,125,509	6,283,752
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	623,326		623,326	597,881
პროცენტი	-		-	-
სუბსიდიები	-		-	-
გრანტები	715		715	160,558
სოციალური უზრუნველყოფა	73,288		73,288	127,425
სხვა ხარჯები	3,135,322		3,135,322	2,766,128
სულ	**13,580,605**		**13,580,605**	**14,233,767**
ფინანსური შედეგი	**308,221**		**308,221**	**(178,261)**

ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	**267,821**	**-**	**-**	**267,821**
<u>კორექტირებები:[1]</u>	**(168,199)**	**-**	**-**	**(168,199)**
ცვლილა (+)	623,326	-	-	623,326
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)[2]	(448,843)	-	-	(448,843)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	15,489	-	-	15,489
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	190	-	-	190
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(358,150)	-	-	(358,150)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(211)	-	-	(211)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან[3]	**99,622**	**-**	**-**	**99,622**
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	**104,912**	**-**	**-**	**104,912**
ძირითადი აქტივები	104,912	-	-	104,912
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	**104,912**	**-**	**-**	**104,912**

ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	**-**	-	-	-
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	**-**	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან[5]	-	-	-	-
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	**(5,290)**	-	-	**(5,290)**
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	5,820	-	-	5,820
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	530	-	-	530
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	საბიუჯეტ ო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	**12,936,131**	**-**	**12,936,131**
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	-	-
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	-	-	-
არასაოპერაციო შემოსავლები	**2,057**	**-**	**2,057**
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2,057	-	2,057
არასაოპერაციო ხარჯები	**113**	**-**	**113**
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	113	-	113
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	**42,344**	-	**42,344**
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	42,344	-	42,344
მოგების გადასახადი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	**308,221**	**-**	**308,221**
ნაშთი წლის ბოლოს	**13,203,952**	**-**	**13,203,952**

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულ და დამტკიცებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	**9,732,000**	**13,374,197**	**37.42%**	**13,087,696**	**(2.14%)**	**13,580,605**	**492,909**
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	4,692,000	4,692,000	0.00%	4,622,445	(1.48%)	4,622,445	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	**68,000**	**113,400**	**66.76%**	**104,912**	0.00%	**104,912**	**-**
ფინანსური აქტივების ზრდა	**-**	**-**	0.00%	**-**	0.00%	**-**	**-**
ვალდებულებების კლება	**-**	**1,978**	0.00%	**1,978**	0.00%	**1,978**	**-**

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებითი შენიშვნები

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის (შემდგომში - „ადმინისტრაცია“) 2017 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

ადმინისტრაციის 2017 წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში საწყისი ნაშთები გადმოტანილია 2016 წლის წლიური ანგარიშგებიდან.

საანგარიშგებო პერიოდში ადმინისტრაციის მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13 194 586 ლარი.

ბალანსის მუხლების განხილვა:

1210 ანგარიშზე „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ 530 ლარი არის ფეისბუქ-რეკლამის ხარჯებისთვის გახსნილი კორპორაციული საბარათე ანგარიშის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივების განაყოფში მოცემულია გასულ და მიმდინარე პერიოდში საქმიანობის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნები:

1354 და 1335 ანგარიშებზე სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნებია.

1431 ანგარიშზე გასულ წლებში წინასწარ გადახდილი კავშირგაბმულობის მომსახურების ხარჯი 61 ლარი და საანგარიშგებო წელს წინასწარ გადახდილი თანხა, ჯამურად 556778 ლარის ოდენობით, მიმდინარე წელს გასაწევი მომსახურებისათვის.

1440 ანგარიშზე გასულ წლებში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისებია 5127 ლარის ოდენობით.

1451 ანგარიშზე 65461 ლარი შეადგენს გასულ წლებში სტუდენტთა უცხოეთში სწავლისთვის გადახდილ თანხას.

1461-1463 ანგარიშებზე ძირითადად არის გასული წლების მივლინებებთან დაკავშირებული მოთხოვნები.

1480 ანგარიშზე გასული წლების მოთხოვნებია, რომელთა დეტალური გაშიფრვა მოცემულია ფინანსური ანგარიშგების N9 და N11 დანართებში.

3210 ანგარიშზე 1537 ლარის გაშიფრვა მოცემულია ფინანსური ანგარიშგების N10 დაN12 დანართებში.

3253 ანგარიშზე 637507 ლარი წარმოშობილია გასული წლებში მივლინებებთან დაკავშირებით.

დანართი N2-ში შემოსავლებში აისახა 689407 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება, აგრეთვე ბიუჯეტის სასარგებლოდ მომწოდებლებზე დაკისრებული პირგასამტეხლო, ჯამურად 4690 ლარის ოდენობით და საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის ასლის მოსაკრებელი 14 ლარის ოდენობით.

დანართი N5-ში მოცემულია არაფინანსური აქტივების მოძრაობა, კერძოდ: 2016 წელს წინასწარ გადახდილი თანხის შესაბამისად საანგარიშგებო წელს მიღებული იქნა 129 570 ლარის მატერიალური მარაგი, საანგარიშგებო წლის გადახდით მიღებულია 1 108 245 ლარის მატერიალური მარაგები, უსასყიდლოდ (გრანტით) მიღებულია 1 528 ლარის მატერიალური მარაგი, რაც შეეხება 1 301 ლარის მარაგს („სხვა მიღებები“), ეს არის გასულ წლებში გაცემული და ხარჯებში გაწერილი

მატერიალური ჯილდოს (ორდენის) უკან დაბრუნება ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი მიზეზით. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჩამოწერილია 1 256 313 ლარის მატერიალური მარაგები. გასული წლის გადახდით მიღებულია ძირითადი აქტივები 8 540 ლარის ღირებულებით, შესყიდულია მთლიანობაში 104 912 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. უსასყიდლოდ მიღებულია 449 558 ლარის ძირითადი აქტივები, უსასყიდლოდ გადაცემულია 715 ლარის ძირითადი აქტივი, აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია N13 დანართში. შესყიდულია 6 090 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და უსასყიდლოდ გადმოცემულია 238 312 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები. ხარჯებში ჩამოწერილია 244 601 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

დანართი N6-ში მოცემულია ქვეყნის გარეთ მივლინებისას უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად მიღებული მოგება-ზარალი, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად საინკასო დავალებებით ჩამოჭრილი თანხების მოძრაობა.

დანართი N1. ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებსა და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

აქტივები	ნაშთი წლის ბოლოს	ნაშთი წლის დასაწყისისთვის
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	530	-
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	-	4,865
სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში	-	955
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმ.სანქ. და სხვა შემოსავლებით	1,878	1,878
მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახ. მიწოდებით	5,317	5,317
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	556,840	156,067
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	-	8,540
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	5,127	5,127
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	65,461	105,908
მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	20,945	20,945
მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3,675,192	3,676,889
მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	79,268	79,746
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	2,006,778	2,006,778
სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	**6,417,336**	**6,073,015**
არაფინანსური აქტივები		
ფულადი დოკუმენტები	596	13,459
სათადარიგო ნაწილები	39,904	44,613
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1,253,604	1,251,522
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	3,410,772	3,410,772
სატრანსპორტო საშუალებები	1,194,342	1,371,414
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,217,278	1,101,212
არამატერიალური ძირითადი აქტივები	243,340	243,365
ტექნიკა	60,008	60,198
სხვა ფასეულობები	5,845	5,845
სულ არაფინანსური აქტივები	**7,425,689**	**7,502,400**
სულ აქტივები და მოთხოვნები	**13,843,025**	**13,575,415**
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	1,537	1,778
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	637,537	637,507
წმინდა ღირებულება	13,203,951	12,936,130
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**13,843,025**	**13,575,415**
საცნობარო მუხლები		
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	476,951	232,350
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	949,142	654,108
ვადაგადაცილებული დავალიანებები	637,507	637,507

დანართი N2. ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	ფაქტიური (საკასო)	დარიცხული
1. შემოსავლები	**-**	**-**	**-**	**4,832**	**694,239**
1.2 გრანტები	**-**	-	-	-	689,407
1.3 სხვა შემოსავლები	-	-	-	**4,832**	**4,832**
1.3.1 საქონლის და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	142	142
1.3.3 სანქციები,ჯარიმები, საურავები	-	-	-	4,690	4,690
2. ხარჯები	**9,732,000**	**13,374,197**	**13,242,975**	**13,087,696**	**13,580,605**
2.1 შრომის ანაზღაურება	**4,692,000**	**4,692,000**	**4,692,000**	**4,622,445**	**4,622,445**
2.1.1 ხელფასები		**4,692,000**	**4,692,000**	**4,622,445**	**4,622,445**
2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	-	4,692,000	4,692,000	4,622,445	4,622,445
2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	-	-	2,672,142	2,649,852	2,649,852
2.1.1.1.3 პრემია	-	-	931,937	904,671	904,671
2.1.1.1.4 დანამატი	-	-	1,087,921	1,067,922	1,067,922
2.2 საქონელი და მომსახურება	**4,905,000**	**5,420,974**	**5,304,270**	**5,255,279**	**5,125,509**
2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	946,834	938,843	938,843
2.2.2 მივლინებები	-	-	733,435	698,816	702,073
2.2.3 ოფისის ხარჯები	-	-	336,037	335,311	567,398
2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	1,019,132	1,017,401	1,034,688
2.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები	-	-	68,159	68,158	80,898
2.2.8 ტრანს., ტექნ და იარაღის ექსპლ. და მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	470,221	470,220	485,339
2.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	1,730,452	1,726,530	1,316,270
2.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	**-**	-	-	-	**623,326**
2.6.3 გრანტები სხვა სახელმწიფო ერთეულებს	**-**	**-**	**-**	**-**	**715**
2.6.3.2 კაპიტალური	-	-	-	-	715
2.7 სოციალური უზრუნველყოფა	**80,000**	**80,000**	**80,000**	**64,167**	**73,288**
2.7.3.1 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	-	80,000	64,167	64,167
2.7.2.1 სოციალური დახმარება	-	-	-	-	9,121
2.8 სხვა ხარჯები	**55,000**	**3,181,223**	**3,166,705**	**3,145,805**	**3,135,322**
2.8.2 სხვადასხვა ხარჯები	**-**	**3,181,223**	**3,166,705**	**3,145,805**	**3,135,322**
2.8.2.1 მიმდინარე	-	2,686,173	2,671,655	2,650,860	2,552,181
2.8.2.2 კაპიტალური	-	495,050	495,050	494,945	583,141

დანართი 3. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	ფაქტიური (საკასო)
1. არაფინანსური აქტივების ზრდა	**68,000**	**113,400**	**104,912**	**104,912**
1.1 ძირითადი აქტივები	**-**	**-**	**104,912**	**104,912**
1.1.2.2.სხვა მანქანა დანადგარები დაინვენტარი	-	-	54,310	54,310
1.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	**50,602**	**50,602**
1.1.3.2.1 ლიცენზიები	-	-	5,315	5,315
1.1.3.2.1 სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	45,287	45,287

დანართი 4. ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	ფაქტიური (საკასო)
4. ვალდებულებების კლება	**-**	**1,978**	**-**	**1,978**
4.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	1,978	-	1,978

დანართი N5. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება				გასვლა			ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
		შესყიდვა წინა წლების ავანსებით	მიმდინარე პერიოდის შესყიდვა	გრანტებით	სხვა მიღებები	გრანტებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	
1. მატერიალური მარაგები	**1,309,593**	**129,750**	**1,108,245**	**1,528**	**1,301**	**-**	**-**	**1,256,313**	**1,294,104**
1.2. სხვა მატერიალური მარაგები	1,309,593	129,750	1,108,245	1,528	1,301	-	-	1,256,313	1,294,104
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	13,459	-	266,435	-	-	-	-	279,298	596
1.2.6 სათადარიგო ნაწილები	44,613	-	35,886	-	-	-	-	40,594	39,904
1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	1,251,521	129,750	805,924	1,528	1,301	-	-	936,421	1,253,604
2. ძირითადი აქტივები	**6,126,763**	**8,540**	**104,912**	**449,558**	**-**	**715**	**623,326**	**-**	**6,065,732**
2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	**2,472,626**	**8,540**	**54,310**	**449,558**	-	**715**	**572,698**	-	**2,411,620**
2.2.1სატრანსპორტო საშუალებები	1,371,414	-	-	37,248	-	-	214,320	-	1,194,342
2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,101,212	8,540	54,310	412,310	-	715	358,378	-	1,217,278
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	**243,365**	-	**50,602**	-	-	-	**50,628**	-	**243,340**
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	243,365	-	50,602	-	-	-	50,628	-	243,340
2.4 სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	**3,410,772**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**3,410,772**
2.4.1 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	3,410,772	-	-	-	-	-	-	-	3,410,772
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	**60,198**	-	6,090	238,321	-	-	-	244,601	**60,008**
4. ფასეულობები	**5,845**	-	-	-	-	-	-	-	**5,845**

დანართი N6. ორგანიზაციის ანგარიში არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	არასაოპერაციო შემოსავლები კრედიტი (8100)	არასაოპერაციო ხარჯები დებეტი (8200)
ფინანსური აქტივები	**1,907**	**113**
სხვა დებიტორული დავალიანებები	1,907	113
ფინანსური ვალდებულებები	**150**	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	150	-

დანართი N8. ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში ბოლოს		საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული დარიცხული ხარჯი			
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა დარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა დარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	49	1,371,414	50	1,194,342	403,691	118,042	265,543	20,106	418,584	118,042	278,405	22,137
მათ შორის												
მსუბუქი	23	637,426	23	539,588	137,058	49,574	82,972	4,512	137,058	49,574	82,972	4,512
ჯიპები და პიკაპები	20	629,216	21	569,196	258,043	65,452	179,167	13,424	269,611	65,452	188,704	15,455
სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	6	104,772	6	85,558	8,590	3,016	3,404	2,170	11,915	3,016	6,729	2,170
სატვირთო	0	-	0	-	-	-	-	-	-	-	-	-

დანართი N9. ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული დებიტორულ დავალიანებათა შესახებ

დასახელება	31.12.2017-ისთვის	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით	
	სულ	2007-2016	2017
ს უ ლ:	**6,416,806**	**5,860,027**	**556,779**
გადასახდელები (წინასწარ, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)			
მათ შორის:			
საქონელი და მომსახურება	**4,339,440**	**3,782,661**	**556,779**
მივლინებები	3,775,406	3,775,406	-
ოფისის ხარჯები	60	61	-
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები	7,195	7,195	-
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	556,770	-	556,779
სოციალური უზრუნველყოფა	**65,461**	**65,461**	**-**
სხვა ხარჯები	**2,006,778**	**2,006,778**	**-**
სხვა მოთხოვნები (გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლებისა)	**5,127**	**5,127**	**-**
დანაკლისები	5,127	5,127	

დანართი N10. ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ

დასახელება	31.12.2017-ისთვის	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით	
	სულ	1996-2014 წლები	2017 წელი
ს უ ლ:	**639,073**	**639,043**	**30**
გადასახდელები	**639,073**	**639,043**	**30**
საქონელი და მომსახურება	**639,073**	**639,043**	**30**
მივლინებები	637,537	637,507	30
ოფისის ხარჯები	1,347	1,347	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	166	166	-
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	23	23	-

დანართი N11.ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

N	ორგანიზაციის/პირის დასახელება	დებეტი თანხა	წარმოშობის საფუძველი	წარმოშო ბთარიღი
1	შპს „ქარ ვოში“	7,195	სასამართლო გადაწყვეტილება	2014
2	სსიპ „რეფორმებისა და განვითარების ფონდი“	1,995,448	განკარგულებები სარეზერვო ფონდიდან	2008
3	ძირითადი აქტივების დანაკლისი	5,127	სახს.გამოყოფის შესახებ ინვენტარიზაციის აქტი	2011-2016
4	სტუდენტების სწავლა	65,461	განკარგ.N102 26.03.2013 წ.	2013
5	შპს „მაგთიკომი“	60		2012
6	ალექსანდრე ხალიჩაშვილი	11,330	სასამართლო გადაწყვეტილება	2010
7	სამივლინებო ვალები	3,775,406		2007-2010
8	შპს „ვანილა ივენთი“	499,777	ხელშეკრულება	2017
9	ა(ა)იპ „ევროკავშირი-საქართველოს კულტურული განვითარების პლატფორმა“	57,002	ხელშეკრულება	2017
	ჯამი:	**6,416,806**		

დანართი N12. ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

N	ორგანიზაციის დასახელება	კრედიტი თანხა	წარმ თარიღი
1	ი.მ ნინო ჯვარიძე	40	2012
2	შპს „ჰელიქს ჯგუფი“	145	2014
3	შპს „პირამიდა“	40	2005
4	შპს „პრესექსპრესი“	32	2004
5	შპს „გეო-აპექსი“	170	2011
6	ი.მ იოსებ გოზალიშვილი	7	2005
7	სს „თელასი“	313	2006
8	შპს „სამთავრობო ღონისძიებათა მომსახურების ბიურო“	26	2005
9	შპს “მანანო“	140	2011
10	შპს „ქარდ სოლუშენ“	540	2013
11	შპს „ლეი ტექ“	60	2013
12	შპს „ჯეოსელი“	23	2013
13	სამივლინებო დავალიანება	30	2017
14	სამივლინებო დავალიანება	637,507	2008-2010
ჯამი:		**639,073**	**-**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE